

შპს “ფელინ გლობალ”
ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო
პერიოდისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	5
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	8
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	9
1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	18
5. ძირითადი საშუალებები	18
6. არამატერიალური აქტივები	19
7. სასაქონლო-მატერიალური ფასულობები	20
8. ფული და ფულის ეკვივალენტები	20
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20
10. გადახდილი ავანსები	20
11. მისაღები დივიდენდები და პროცენტები	21
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
13. ამონაგები	21
14. სხვა შემოსავალი	21
15. რეალიზირებული მზა პროდუქციის თვითღირებულების კომპონენტები	22
16. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	22
17. სხვა შემოსულობა (ზარალი)-ნეტო	22
18. მიღებული სესხები	23
19. ფინანსური შემოსავლები (დანახარჯები)	23
20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.	23
21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	28
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	29

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ფელინ გლობალ“-ის მენეჯმენტს

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს შპს „ფელინ გლობალ“-ის (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისაგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისაგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კომპანიის თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, კომპანიას აქვს წმინდა ზარალი და უარყოფითი სამუშაო კაპიტალი. კომპანიის დაფინანსება დამოკიდებულია ბანკისგან აღებულ სესხებზე, დაკავშირებული მხარეებისგან მიღებულ სესხებზე და დამფუძნებელთა დამატებით დაფინანსებაზე. კომპანიამ ვერ შეძლო დაფინანსების სხვა საშუალებების გამოძებნა, მათ შორის კორონავირუსით გამოწვეული უარყოფითი ეფექტების საიმედოდ შეფასება და რეალიზაციის ახალი ბაზრების მოძიება. წლის ბოლოსთვის კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ვალდებულებები მნიშვნელოვნად აღემატება კომპანიის აქტივებს და წლების განმავლობაში კომპანია განიცდის მნიშვნელოვან ზარალებს. ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით საკმარისი საფუძვლის არსებობაზე. კერძოდ, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი რწმუნება რომ დაკავშირებული მხარეები გააგრძელებენ კომპანიის დაფინანსებას და ასევე ვერ მოვიპოვეთ კომპანიის მიერ აქტივების რეალიზაციასთან დაკავშირებით კონკრეტული გაწერილი გეგმა იმ შემთხვევაში თუკი დაკავშირებული მხარეებისგან შეწყდება დაფინანსება და მოთხოვნილ იქნება წლების განმავლობაში დაგროვილი სასესხო ვალდებულებების დაფარვა. აღნიშნული მოვლენები მიუთითებს, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს სამეურნეო სუბიექტის უნართან დაკავშირებით, მომავალში საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ასევე, სამეურნეო სუბიექტის უნარის შესახებაც, რომ ის შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას იმ შემთხვევაში თუ დაკავშირებული მხარეებისგან შეწყდება დაფინანსება. თანდართული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში ასევე არ არის წარმოდგენილი დაკავშირებული მხარეებისგან დაფინანსების გაგრძელებაზე მენეჯმენტის მსჯელობების და ამ დაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში აქტივების რეალიზაციაზე მენეჯმენტის მიერ გაწერილი გეგმის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია.

მენეჯმენტის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - "მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი" - ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

შპს იოანე და კომპანიი-ს (SARAS-F-237088) სახელით

ოლეგი ნაჭყებია (SARAS-A-346157) -----

ქ. ფოთი მ. კაცაძის ქუჩა N26/7

29 ნოემბერი 2021 წელი

მენეჯმენტის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - "მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი" - ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

შპს იოანე და კომპანიი-ს (SARAS-F-237088) სახელით

ოლეგი ნაჭყებია (SARAS-A-346157)

ქ. ფოთი მ. კაცაძის ქუჩა N26/7

29 ნოემბერი 2021 წელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (1 ლარის სიზუსტით)

	შენიშვნა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	208	191707	430895
სხვა მხარეებზე ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები	10	0	715848	1012068
მოკლევადიანი მარაგები	7	792072	813075	691942
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	147485	1501	154180
სხვა საგადასახადო აქტივი		133787	0	2155620
სხვა მოკლევადიანი აქტივები	11	34338	16489	640
სხვა არამატერიალური აქტივები	6	1595	1898	0
ძირითადი საშუალებები	5	8522681	9049309	8403877
სულ აქტივები		9632166	10789827	12849222
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	12	696396	880818	1722791
სხვა ფინანსური ვალდებულებები		906434	576173	0
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები		0	53547	2021569
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	18	14283774	12644636	10783552
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	4326	3328	317701
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	12	11725	93721	18084
სულ ვალდებულებები		15902655	14252223	14863697
მთლიანი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		-6270489	-3462396	-2014475
საჯუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0	0
სულ საჯუთარი კაპიტალი		-6270489	-3462396	-2014475
სულ საჯუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		9632166	10789827	12849222

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 26 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

შპს ფელინ გლობალ
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (1 ლარის სიზუსტით)

	შენიშვნა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	208	191707	430895
სხვა მხარეებზე ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები	10	0	715848	1012068
მოკლევადიანი მარაგები	7	792072	813075	691942
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	147485	1501	154180
სხვა საგადასახადო აქტივი		133787	0	2155620
სხვა მოკლევადიანი აქტივები	11	34338	16489	640
სხვა არამატერიალური აქტივები	6	1595	1898	0
ძირითადი საშუალებები	5	8522681	9049309	8403877
სულ აქტივები		9632166	10789827	12849222
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	12	696396	880818	1722791
სხვა ფინანსური ვალდებულებები		906434	576173	0
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები		0	53547	2021569
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	18	14283774	12644636	10783552
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	4326	3328	317701
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	12	11725	93721	18084
სულ ვალდებულებები		15902655	14252223	14863697
მთლიანი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		-6270489	-3462396	-2014475
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი		-6270489	-3462396	-2014475
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		9632166	10789827	12849222

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 26 ნოემბრის შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:



9-30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (1 ლარის სიზუსტით)

	შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019
ამონაგები	13	3,769,952	7,433,142
გაყიდვების თვითღირებულება	15	(2,684,384)	(5,245,303)
საერთო მოგება		1,085,568	2,187,839
სხვა საოპერაციო შემოსავალი	14	95,564	-
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	16	(445,508)	(364,239)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	16	-	(246,237)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	16	(10,000)	-
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	16	(76,629)	-
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	16	(11,476)	(5,010)
იჯარის ხარჯი	16	(4,661)	(4,866)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	16	(30,676)	(51,119)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	16	(553,783)	(993,694)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	16	(128,278)	(258,571)
საოპერაციო მოგება		(79,879)	264,103
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სხვა	17	(2,217,922)	(826,683)
სხვა ფინანსური შემოსავალი	14	19,521	16,009
საპროცენტო ხარჯი	19	(673,419)	(952,789)
სხვა ფინანსური ხარჯი	19	(3,427)	(4,786)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	14	20,706	182,562
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის		(2,934,421)	(1,321,585)
მოგების გადასახადი		126,328	(126,336)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		(2,808,093)	(1,447,921)
სხვა სრული შემოსავალი:			
(რეკლასიფიცირების უფლების გარეშე)			-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		(2,808,093)	(1,447,921)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 26 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (1 ლარის სიზუსტით)

	შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019
ამონაგები	13	3,769,952	7,433,142
გაყიდვების თვითღირებულება	15	(2,684,384)	(5,245,303)
საერთო მოგება		1,085,568	2,187,839
სხვა საოპერაციო შემოსავალი	14	95,564	-
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	16	(445,508)	(364,239)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	16	-	(246,237)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	16	(10,000)	-
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	16	(76,629)	-
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	16	(11,476)	(5,010)
იჯარის ხარჯი	16	(4,661)	(4,866)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	16	(30,676)	(51,119)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	16	(553,783)	(993,694)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	16	(128,278)	(258,571)
საოპერაციო მოგება		(79,879)	264,103
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სხვა	17	(2,217,922)	(826,683)
სხვა ფინანსური შემოსავალი	14	19,521	16,009
საპროცენტო ხარჯი	19	(673,419)	(952,789)
სხვა ფინანსური ხარჯი	19	(3,427)	(4,786)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	14	20,706	182,562
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის		(2,934,421)	(1,321,585)
მოგების გადასახადი		126,328	(126,336)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		(2,808,093)	(1,447,921)
სხვა სრული შემოსავალი:			
(რეკლასიფიცირების უფლების გარეშე)			-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		(2,808,093)	(1,447,921)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელების მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 26 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:



9-30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (1 ლარის სიზუსტით)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებ ელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 1 იანვარი	-	0	-2,014,475	(2,014,475)
წმინდა მოგება	-	-	(1,447,921)	(1,447,921)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(1,447,921)	(1,447,921)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	(3,462,396.02)	(3,462,396)
წმინდა მოგება	-	-	(2,808,093)	(2,808,093)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(2,808,093)	(2,808,093)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	-	-	(6,270,489)	(6,270,489)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 26 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

შპს ფელინ გლობალ

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (1 ლარის სიზუსტით)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებ ელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 1 იანვარი	-	0	-2,014,475	(2,014,475)
წმინდა მოგება	-	-	(1,447,921)	(1,447,921)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(1,447,921)	(1,447,921)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	(3,462,396.02)	(3,462,396)
წმინდა მოგება	-	-	(2,808,093)	(2,808,093)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(2,808,093)	(2,808,093)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	-	-	(6,270,489)	(6,270,489)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 26 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:



ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (1 ლარის სიზუტით)

	შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა მოგება		(2,808,093)	(1,447,921)
<i>კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:</i>		(1,136,568)	1,234,869
- გადასახადები		(126,328)	126,336
- ცვრთა	4,5	553,783	993,694
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		-	4,742
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	17	(2,217,922)	(826,683)
- წმინდა ფინანსური ხარჯი	19	653,899	936,780
- დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი		-	-
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში		(309,682)	(248,320)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	9	(145,505)	449,060
- მარაგები	7	21,003	(121,133)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	(265,420)	(763,845)
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები		80,240	187,598
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები		(4,254,343)	(461,372)
- მიღებული პროცენტი	19	1,192	-
- გადახდილი პროცენტები	19	(343,159)	(693,482)
- გადახდილი მოგების გადასახადი		126,328	(126,336)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(4,469,982)	(1,281,189)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
- ძირითადი საშუალებების შეძენა	5	(26,853)	(1,645,766)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(26,853)	(1,645,766)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)		-	-
- სასესხო ვალდებულების ზრდა	18	6,356,733	7,121,745
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა	18	(4,269,321)	(5,260,660)
- გადახდილი დივიდენდები		-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		2,087,413	1,861,084
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამომწვეული ცვლილება		(2,409,423)	(1,065,871)
		191,707	430,895
		2,217,922	826,683
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი		207	191,707

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 26 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

9-30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია


ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (1 ლარის სიზუსტით)

	შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა მოგება		(2,808,093)	(1,447,921)
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:		(1,136,568)	1,234,869
- გადასახადები		(126,328)	126,336
- ცვლილება	4,5	553,783	993,694
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		-	4,742
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	17	(2,217,922)	(826,683)
- წმინდა ფინანსური ხარჯი	19	653,899	936,780
- დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი		-	-
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში		(309,682)	(248,320)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	9	(145,505)	449,060
- მარაგები	7	21,003	(121,133)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	(265,420)	(763,845)
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები		80,240	187,598
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები		(4,254,343)	(461,372)
- მიღებული პროცენტი	19	1,192	-
- გადახდილი პროცენტი	19	(343,159)	(693,482)
- გადახდილი მოგების გადასახადი		126,328	(126,336)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(4,469,982)	(1,281,189)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
- ძირითადი საშუალებების შეძენა	5	(26,853)	(1,645,766)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(26,853)	(1,645,766)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)		-	-
- სასესხო ვალდებულების ზრდა	18	6,356,733	7,121,745
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა	18	(4,269,321)	(5,260,660)
- გადახდილი დივიდენდები		-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		2,087,413	1,861,084
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამომწვეული ცვლილება		(2,409,423)	(1,065,871)
		191,707	430,895
		2,217,922	826,683
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი		207	191,707

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 26 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “ფელინ გლობალ“-ი (შემდგომში კომპანია), საიდენტიფიკაციო ნომრით - 415097594, არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2016 წლის 9 სექტემბერს დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ. ფოთი, ზაქარია ფალიაშვილი ქ. N12დ კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ნაქსოვი და ტრიკოტაჟული ტანსაცმლის წარმოება(სვიტერი, ჟაკეტი, კარდიგანი).

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლები არიან :

შპს ესპერანსი 215116032 -წილის 46%

იამარ არაბაჩი /თურქეთი/ -წილის 23%

ჰაკან კაპიჩიოდუ /თურქეთი/ -წილის 23%

მაჰმუთ ქაან გუნალ /თურქეთი/ -წილის 8%

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლები არ გააჩნია.

კომპანიის გენერალური დირექტორია - ალექსანდრე თოფური, დირექტორი - ანჟელა ჭანტურია. კომპანიის მმართველობის ორგანოა პარტნიორთა კრება.

2. მომზადების საფუძველი

2.1. ანგარიშგების შესაბამისობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოშვებული „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის“ (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დამუშავების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-3-ე შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

2.3. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

2.3. COVID-19 -ის გავლენა და ფუნქციონირებადი საწარმო

COVID-19-ით გამოწვეულმა ჯანდაცვის კრიზისმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაზე. კომპანიამ 2020 წლის 1 აგვისტოდან დროებით შეაჩერა საქმიანობა შეკვეთების არ ქონის გამო, რაც კომპანიის შემოსავლებზე საგრძნობლად მოქმედებს.

COVID-19-ის პანდემიის გამო ეკონომიკის გაურკვეველი მომავლის და ბაზრის მერყეობის გათვალისწინებით კომპანიამ შეაფასა თავისი უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. კომპანიამ გადახედა სამომავლო გაყიდვების გეგმებს, თავის საოპერაციო

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

2.3. COVID-10-ის გავლენა და ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

შემოსავლებზე COVID-19-ის გავლენის გათვალისწინებით. ძირითად დაშვებებში, სხვებთან ერთად შემდეგი დაშვებებიც შევიდა:

- 2021 წლის ბიუჯეტში შეიტანა მხოლოდ ფულის გადინება და არა ფულის შემოდინება.: საწარმოს სათანადო მდგომარეობაში შენარჩუნებისათვის აუცილებელი თანამშრომლებთან დაკავშირებული სახელფასო ხარჯები და მიმდინარე კომუნალური ხარჯები.
- კომპანიას მიღებული აქვს სესხები საქართველოში რეგისტრირებული ფინანსური ინსტიტუტებიდან. აღნიშნული სესხები უზრუნველყოფილია გრძელვადიანი აქტივებით და მარაგებით. სესხის ძირითანხის და საპროცენტო ვალდებულების ნაწილი, რომელიც უნდა დაფაროს კომპანიამ მომდევნო ერთი წლის განმავლობაში შეადგენს 1 145 660 ლარს, 101 904 აშშ დოლარს და 788 720 ევროს (შენიშვნა 18);

ყველა ეს წინასწარი განცხადება ეყრდნობა არსებულ მოლოდინებსა და პროგნოზებს. ხელმძღვანელობის კონტროლს არ ექვემდებარება ბევრი რისკი და გაურკვევლობა, რის გამოც შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ანგარიშგების თარიღით გაკეთებული განცხადებებისგან. დღეისათვის ყველა ოპერაცია ეყრდნობა იმ დაშვებას, რომ საქმიანობა გაგრძელდება. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და მოახდენს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში დაგეგმილი პროგნოზების შესაბამისად.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის კომპანიის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 2 808 093 ლარი და ამ თარიღისათვის კომპანიას უფიქსირდება 6 270 489 ლარის დაგროვილი ზარალი. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, რადგან დამფუძნებლები თანახმაა, საჭიროების შემთხვევაში, განაგრძოს კომპანიის ფინანსური დახმარება და არ მოითხოვოს ვალდებულებების დაფარვა იმგვარად, რომ საფრთხე შეუქმნას კომპანიის ლიკვიდურობასა და მომავალ საოპერაციო საქმიანობას. ამასთან კომპანიამ 2020 წლის 2 ივლისს სს თი ბი სი ბანკში აიღო ახალი სესხი 590 000 ევროს ოდენობით,.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის მიერ პირველად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი წლისთვის თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორისთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას მსს ფასს-ის მე-11 და მე-12 განყოფილების და ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების პირველადი აღიარება ხდება გარიგების თარიღით შეფასებული გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით). ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფული და ფულის ექვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს და მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე.

სავაჭრო მოთხოვნები არის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ კლიენტებისგან მიღებული თანხები. თუ თანხების მიღება ერთი წლის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ ვადაში (ან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, თუ უფრო ხანგრძლივია) არის მოსალოდნელი, ეს აქტივები მიმდინარე (მოკლევადიან) აქტივებად აისახება. თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით).

მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად გამოზნული ფინანსური აქტივები და რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცილება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

გადახდილი ავანსები

საავანსო გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები მიღებული იქნება ერთ წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი აქტივების შესაძენი. წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელის შემოსვლა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის იმის ინდიკატორები, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

3. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს სხვა მხარეს. ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებას და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით) მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სესხები

აღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) ღირებულებით.

ავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები შემდგომში ფასდება თვითღირებულებით გაუფასურების თანხის გამოკლებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღიარდება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად გარიგების ღირებულებით და შემდეგ აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულება შესრულება ან გაუქმდება ან მოქმედების ვადა დაუსრულდება. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ანარიცხები, პრობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები (გაგრძელება)

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებაში გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს ნედლეულს, მზა პროდუქციას და დაუმთავრებელ წარმოებას. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება ყველა სახის სხვა

3. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ძირითადი საშუალების ცვეთის გამოთვლა ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, რაც გულისხმობს პირველ წელს ცვეთა ერიცხება აქტივებს თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ წლებში ნარჩენი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებების სახეების მიხედვით დადგენილი ცვეთის ნორმა მოცემულია ქვემოთ:

ჯგუფი	ცვეთის %
შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	8-20%
საოფისე ტექნიკა და კომპიუტერული მოწყობილობა	20%
სხვა ამორტიზირებადი ძირითადი საშუალებები	20%

ყოველ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება, აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პრესპექტიულად.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში კომპანია განსაზღვრავს აქტივის აღდგენით ღირებულებას.

2020 წლის 1 იანვრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაუფასურების ნიშნები არ არსებობდა.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ საადრიცხო პროგრამები. არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

საიჯარო ხელშეკრულებები

კომპანიას იჯარით არებული აქვს სასწყობო ფართი . ის წარმოადგენს მსს ფასს-ის მე-20 განყოფილების მიხედვით ჩვეულებრივ საოპერაციო იჯარას, რომლის დროსაც საიჯარო გადასახადები ხარჯად აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

ამონაგები

შემოსავლების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ მთლიანი ეკონომიკური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშობა კომპანიის ჩვეული საქმიანობის პირობებში, მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, და ამ ოპრაციის შედეგად იზრდება საკუთარი კაპიტალი, მესაკუთრეთა მიერ დამატებითი ინვესტირების გარეშე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ამონაგები (გაგრძელება)

კომპანია გამოიმუშავებს თავის შემოსავალს საწარმოს მიერ წარმოებული საქონლის რეალიზაციის შედეგად. ამონაგები აღიარდება რეალური ღირებულებებით, როცა

- კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს.

- შესაძლებელია ამონაგები თანხის საიმედოდ შეფასება.

- შესაძლებელია, რომ მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული შემოსავალი შემოვა კომპანიაში

- ანგარიშგების თარიღისათვის შესაძლებელია ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება

შემოსავლები აღიარდება დარიცხვის მეთოდის გამოყენებით და ნაჩვენებია დღგ-სა და ფასდათმობების გარეშე.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

მოგება(ზარალი)/საკურსო სხვაობიდან

კომპანიის მოგება(ზარალი) საკურსო სხვაობიდან მოიცავს ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ შემოსავლებსა და ხარჯებს. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა ღირებულებით, როგორც შემოსავალი ან ხარჯი, იქიდან გამომდინარე უცხოური ვალუტის მოძრაობით მიღებული შედეგი წმინდა შემოსავალია თუ წმინდა ხარჯი.

სხვა შემოსავლის აღიარება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული და საპროცენტო შემოსავლების გარდა, კომპანიაში სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმენა, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული საქონლის გაყიდვებთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები მოგება ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

სახელფასო განაცემები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

- ▶ ხელფასები;
- ▶ წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტენის ანაზღაურება;
- ▶ არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა

პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კოსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განხორციელოს. კომპანია ჩართულია სახელმწიფო საპენსიო ფონდში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გადასახადები

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექს“-ში მოგების გადასახდის დაბეგვრის რეფორმის შესახებ, რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადით დაბეგვრის „ესტონურ მოდელის“ სახელით, რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. თუ მოხდა მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები, როლებიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (საჩაქარი, ხარჯები რომლებიც არა ადაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, ავანსების გადახდა ოფშორულ ქვეყნებში რეგისტრირებულ კომპანიებზე და სხვა) ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით. კანონი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია თავისი საქმიანობის ფარგლებში იბეგრება ასევე სხვა საოპერაციო გადასახადებით, რომლებიც წარდგენილია “ქონების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი) “სხვა ხარჯების” და “ხელფასების და თანამშრომელთა სხვა სარგებელის” მუხლში, შესაბამისად.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს გადასახდელია საგადასახადო ორგანოში როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ-ს ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურების მიღება. საგადასახადო ორგანოს მიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით, როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა**(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა**

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს 30-ე განყოფილების “ოპერაციები უცხოურ ვალუტაში” მოთხოვნის შესაბამისად.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2020 წლის 31 დეკემბერს და 2019 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3,2766	4,0233
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8677	3,2095

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

33-ე განყოფილების მიხედვით კომპანია დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს პირს ან საწარმოს, რომელიც დაკავშირებულია საწარმოსთან:

ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
- (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
- (viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ:

